დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი, აფილირებული უნივერსიტეტი/ორგანიზაცია, ქვეყანა

დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

წევრები:

სახელი, გვარი, აფილირებული უნივერსიტეტი/ორგანიზაცია, ქვეყანა

დავით თოფურია, თბილისის სამედიცინო სახელწმიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მაქსიმ იავიჩი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ეთერ თვარაძე, თბილისის სამედიცინო სახელწმიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

თბილისი
2025

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	წინანდლის ქუჩა 9, თბილისი 0144, საქართველო
ვებ-გვერდი	www.seu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	23/06/2021
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	01/07/2027

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	34
ბაკალავრიატი	17
მაგისტრატურა	15
ერთსაფეხურიანი	2
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	34
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	368

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			11100
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	10420	12179	9450
ბაკალავრიატი	5177	10731	7844
მაგისტრატურა	418	844	1238
ერთსაფეხურიანი	4825	604	368
დოქტორანტურა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება
[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	4955	780	375
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	23	13	11

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	892
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	240
- პროფესორი	66
- ასოცირებული პროფესორი	110
- ასისტენტ პროფესორი	64
- ასისტენტი	-
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	124
- აფილირებული პროფესორი	31
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	57
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	36
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	6
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	471
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	181

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	48910,18
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	24752,95
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	24157,23

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საგანმანათლებლო დაწესებულების შვიდივე სტანდარტი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თვითშეფასების ანგარიშს. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22-23 აპრილს, რომელსაც წინ უძღოდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გამართული დისტანციური შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული შესაფასებელი საკითხები და მოხდა შესაბამისი დავალებების განაწილება ექსპერტთა შორის.

უშუალოდ ვიზიტის პროცესი წარიმართა წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, რაც უზრუნველყოფდა შეფასების პროცესის მაღალ ორგანიზებულობას და ეფექტიანობას. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოების ფარგლებში ასევე შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ 3 წელიწადში ერთხელ წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია.
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: ____22-23 აპრილი, 2025 წ._____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (Scopus და Web of Science-ში და ა.შ ინდექსირებული) სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობის მექანიზმები. სასურველია, შემუშავდეს მიზნობრივი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს: აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი ფინანსური წახალისების სისტემის დახვეწას, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების მომზადებისთვის საჭირო უნარების განვითარების ტრენინგებს, უცხოელ მკვლევრებთან თანაავტორობის ხელშეწყობას და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის გაზრდას.

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი გამოირჩევა საგანმანათლებლო პროცესების დიგიტალიზაციის მაღალი ხარისხით, რაც წარმოადგენს ინსტიტუციურ საუკეთესო პრაქტიკას თანამედროვე უმაღლესი განათლების სფეროში. უნივერსიტეტი ავითარებს ინტეგრირებულ ციფრულ ეკოსისტემას, რომელიც აერთიანებს სასწავლო პროცესის მართვის, ადმინისტრირების და საბიბლიოთეკო რესურსების მართვის თანამედროვე პლატფორმებს. უნივერსიტეტის მიერ დანერგილი ხელოვნური ინტელექტის ელემენტების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში ხელს უწყობს პერსონალიზებული სწავლების გაძლიერებას და აკადემიური მიღწევების ანალიტიკის გაუმჯობესებას.
დიგიტალიზაციის მაღალი დონე ასევე გამოიხატება ადმინისტრაციული პროცესების სრულ ავტომატიზაციაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს და ზრდის მომსახურების ეფექტიანობას.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

- უსდ-ს დიგიტალიზაციის პროცესი ყველა მიმართულებით.

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐

6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)

დავით სიხარულიძე

2. სახელი, გვარი (წევრი)

დავით თოფურია

3. სახელი, გვარი (წევრი)

მაქსიმ იავიჩი



4. სახელი, გვარი (წევრი)

ეთერ თვარაძე



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ "სეუ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოს ახალი ცოდნის წარმოქმნა და გავრცელება." მისიაში ასახულია "წინსვლა ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში" და "ევროპულ ფასეულობებთან შესაბამისობა". დოკუმენტში ნახსენებია "ევროპულ ფასეულობებთან (აკადემიური თავისუფლება, ავტონომია, სტუდენტთა ჩართულობა) შესაბამისობა" როგორც ფუნდამენტური თემა. დოკუმენტში აღნიშნულია და ასევე გსაუბრებისას გამოვლინდა, რომ "სეუ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოს ახალი ცოდნის წარმოქმნა და გავრცელება." "მისიის განაცხადში... ხაზი აქვს გასმული უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, სტუდენტებისა და პროფესორების პიროვნული განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციური და მოქნილი მიდგომების გამოყენებას და ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებას". უსდ-ს მახასიათებლები ასახულია მის მისიაში, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ევროპულ ფასეულობებთან შესაბამისობა (აკადემიური თავისუფლება, ავტონომია, სტუდენტთა ჩართულობა), პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, სტუდენტებისა და პროფესორების პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციური და მოქნილი მიდგომების გამოყენება, ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირება. "მისია განთავსებულია სეუ-ს ვებგვერდზე, ასევე გაზიარებულია სტუდენტებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში." "2019 წელს სეუ-ს საუნივერსიტეტო საზოგადოებამ განიხილა და ჩამოყალიბა მისიის განაცხადი" და "მისია და მისი მთავარი პრინციპები განისაზღვრა უნივერსიტეტის საზოგადოების მაღალი ჩართულობით". "მისია განთავსებულია სეუ-ს ვებგვერდზე, ასევე გაზიარებულია სტუდენტებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში", თუმცა არ არის მოცემული კონკრეტული მტკიცებულებები ან მექანიზმები, თუ როგორ ხდება ამის გაზომვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი)და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); • სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; • სამოქმედო გეგმა • მონიტორინგის მექანიზმები; • უსდ-ის საქმიანობის წლიური ანგარიშები;
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

"სტრატეგიული განვითარების გეგმა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი უნივერსიტეტის განვითარებაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის, ხოლო სტრატეგიული მიზნები წარმოადგენს თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორს. სტრუქტურული ერთეულები და ფაკულტეტები გეგმავენ და აცნობებენ მათ საქმიანობას სტრატეგიული მიზნების და შესაბამისი KPI–ების მიღწევის, მათი წლიური გეგმებისა და ინსტიტუციური თვითშეფასების კონტექსტში."

"სტრატეგიული განვითარების გეგმა მყარდება სამწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელიც ასახავს სტრატეგიულ ინიციატივებს თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტისთვის. სტრატეგიული ინიციატივები შემდგომში უფრო დეტალურად არის აღწერილი სამოქმედო გეგმაში, კონკრეტული ქმედებებით. მათ შორისაა ვადები, პასუხისმგებლობების განაწილება და ბიუჯეტი."

"მისიის ძირითადი პრინციპები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ მიზნებთან. ევროპულ ფასეულობებთან (აკადემიური თავისუფლება, ავტონომია, სტუდენტთა ჩართულობა) შესაბამისობა წარმოადგენს ფუნდამენტურ თემას, რომელიც ქმნის სეუ-ს თვითშეფასების საფუძველს და გააზრებულია როგორც მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკაში, ისე ზოგად ოპერაციებში."

მიზნების გაზომვადობის შესახებ: "მეტა დონეზე ეს ხდება სეუ-ს მუშაობის შესრულების მონიტორინგის მეშვეობით, ძირითადი ხარისხის ინდიკატორების (KPI-ების) გათვალისწინებით... თითოეული KPI-სთვის მიზნად დასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმის პერიოდის დასრულება (2026 წელი) და ამ მიზნის მიღწევაში პროგრესი ყოველწლიურად იზომება."

"სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესები ეფუძნება სეუ-ს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგიებს."

"სტრატეგიული განვითარების გეგმა, ისევე როგორც შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია უნივერსიტეტის წარსული და მიმდინარე საქმიანობის დეტალური და თვითკრიტიკული შეფასების საფუძველზე, მოიცავს სამომავლო განვითარების მთავარ სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს."

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს ინსტიტუციის სვლას გლობალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირებისკენ. როგორც გასაუბრებიდან აღინიშნა, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით 2021-2023 წლების პერიოდთან შედარებით, 2023-2025 წლებში (თუნდაც არასრული მონაცემებით) მობილობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაზრდილია ყველა სეგმენტში: სტუდენტური მობილობა 12-დან 16-მდე, აკადემიური პერსონალის მობილობა 6-დან 11-მდე, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა 5-დან 8-მდე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციული სერვისების ფუნდამენტურ გაუმჯობესებას, რაც მოიცავს შიდა ელექტრონული პლატფორმების განვითარებას, საქმისწარმოების სისტემის მოდერნიზაციას და პერსონალის მართვის ინტეგრირებული სისტემების დანერგვას. ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესები რაციონალიზებულია, რაც ხელს უწყობს ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას.

ზედა რგოლის მენეჯმენმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებას. თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვა, ინფორმაციის გაზიარების ხარისხის ამაღლება და კორპორაციული კულტურის გაუმჯობესება წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების ახალი ეტაპის განუყოფელ ნაწილს. ეს ცვლილებები ასახავს ინსტიტუციის სწრაფვას საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობისკენ.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს უნივერსიტეტის მიერ დამყარებული სტრატეგიული პარტნიორობა მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან (MIT) თანამშრომლობა მეწარმეობის მიმართულებით ტრენინგების ორგანიზების კუთხით, ასევე შვეიცარიულ სასტუმროს მართვის სკოლასთან (EHL) პარტნიორობა კულინარიის და სასტუმროს მენეჯმენტის მიმართულებით, წარმოადგენს უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების მნიშვნელოვან ინდიკატორებს.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მასშტაბებზე მეტყველებს სტუდენტების მრავალფეროვანი გეოგრაფიული წარმომავლობა. 11,000 სტუდენტიდან 4,450 წარმოადგენს საერთაშორისო სტუდენტს, რომლებიც 57 სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით მოახდინა პოზიციონირება გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

პარტნიორული ურთიერთობების გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გერმანიის, პოლონეთის, პორტუგალიისა და რუმინეთის ტრადიციულ პარტნიორ ქვეყნებს დაემატა თურქეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ლიეტუვა, ბელგია და ისლანდია. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს აკადემიური და კულტურული გამოცდილების გამდიდრებას და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას.

"სტრატეგიული ინიციატივები შემდგომში უფრო დეტალურად არის აღწერილი სამოქმედო გეგმაში, კონკრეტული ქმედებებით. მათ შორისაა ვადები, პასუხისმგებლობების განაწილება და ბიუჯეტი."

"ხარისხის განვითარების დეპარტამენტსა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერს ევალება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, სწორად მოქმედება შედეგების მონიტორინგის საფუძველზე. თითოეული სტრუქტურული ერთეული შეიმუშავებს წლიურ გეგმას ინსტიტუციური შაბლონის საფუძველზე. ყოველი წლის ბოლოს, სეუ-ს სტრუქტურული ერთეულები აანალიზებენ წლიური გეგმის განხორციელებას და მათი შესრულების შესაბამის KPI-ების საფუძველზე, როგორც წლიური ინსტიტუციური თვითშეფასების პროცესის ნაწილს."

"სტრატეგიული გეგმის შესრულების შესაფარებლად შემუშავებული ხარისხის ინდიკატორების (KPI) ცვლადები აგრეთვე ინტეგრირებულია სეუ-ს მონაცემთა დამუშავებისა და ვიზუალიზაციის პლატფორმაშიც, რომელიც ეფუძნება MS Power BI-სი სისტემას. პლატფორმაზე მუდმივ რეჟიმში შესაძლებელია საკვანძო მინაცემებს მონიტორინგი, რაც საშუალებას იძლევა დროულად გამოვლენილი იქნეს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ტენდენციები."

"2023 წელს მოხდა აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაგეგმილი სამუშაოების უმეტესობა შესრულებულია, თუმცა კოვიდ ეპიდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო 2020 წლის ამოცანების ნაწილი ვერ შესრულდა. ამიტომაც, მიღებული იქნა გადაწყვეტილება და შემუშავებული იქნა 2023 წლის გარდამავალი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა დასრულებულიყო აღნიშნული ამოცანები."

2023 წელს შეძენილი და დანერგილი იქნა კომპანია ClickUp-ს დავალებების მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება სეუ-ს ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულების ამოცანების, მათ შორის 2024-2026 წ.წ.-ის სამოქმედო გეგმის მართვა და ანგარიშგება."

სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია სამი ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი: ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება, სამეცნიერო კვლევების გაფართოება და ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა. ამ პრიორიტეტების წარმატებით განხორციელებისთვის განსაზღვრულია სამი ჯვარედინი პრიორიტეტი: მეტი და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება, მართვის გაძლიერება და მრავალფეროვანი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა.

თითოეული პრიორიტეტისთვის დეტალურადაა აღწერილი განსახორციელებელი აქტივობები, ვადები, საპროგნოზო ბიუჯეტი და შეფასების ინდიკატორები. აქტივობები მოიცავს ფართო სპექტრს, მათ შორის: სტრატეგიული პარტნიორობის გაფართოებას, ახალი ვებსაიტის შექმნას, უცხოელი კურსდამთავრებული ელჩის კონცეფციის შემუშავებას, კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ონლაინ

განათლების სტრატეგიის შემუშავებას, ახალი კამპუსის მშენებლობას, პერსონალის შეფასების სისტემის გაუმჯობესებას და სხვა მნიშვნელოვან ინიციატივებს. გეგმა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ორიენტაციას ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე, ინოვაციური მიდგომების გამოყენების მნიშვნელობას და ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებას. დოკუმენტში ნათლად ჩანს უნივერსიტეტის მისწრაფება გახდეს საერთაშორისოდ ცნობადი დაწესებულება, რომელიც პასუხობს შრომის ბაზრის და საზოგადოების თანამედროვე გამოწვევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული განვითარების გეგმა • სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; • ინტერვიუს შედეგები. • დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები; • უსდ-ის მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირი; • სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები; • უსდ-ის საქმიანობის წლიური ანგარიშები; • მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

სეუ-მ ავტორიზაცია გაიარა 2021 წელს, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია 2019 წელს და გათვლილია 2020-2026 წლების პერიოდზე. ამ სტრატეგიით უნივერსიტეტს გაცხადებული ჰქონდა 3 სტრატეგიულ პრიორიტეტი, (1. ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება; 2. კვლევების გაფართოება; 3. ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება.) ამ სამი სტრატეგიული პრიორიტეტის მისაღწევად, დამატებით, განისაზღვრა სამი ჯვარედინი პრიორიტეტიც:

A. მეტი და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება;

B. მართვის გაძლიერება;

C. მრავალფეროვანი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა.

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ნათელია, რომ უნივერსიტეტმა წარმატებებს მიაღწია და შეასრულა პრიორიტეტები - მრავალფეროვანი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა, რაც ნამდვილად უწყობს ხელს ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდას და გაფართოებას, კვლევების გაფართოებას.

უნივერსიტეტის სტრუქტურის მიხედვით უნივერსიტეტის მართვის ზედა რგოლი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

- დამფუძნებელ-პარტნიორთა კრება;
- რექტორი;
- აკადემიური საბჭო.

მართვის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღება დროულად და ეფექტურად.

უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პლატფორმა reg.seu.edu.ge-ს და emis.seu.edu.ge. ამ პორტალების ფუნქციონირება განაპირობებს მართვის ეფექტიანობას როგორც თანამშრომლებისთვის ასევე სტუდენტებისთვის.

მოცემულ ეტაპზე უნივერსიტეტში არის ოთხი ფაკულტეტი:

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
- იურიდიული ფაკულტეტი
- მედიცინის ფაკულტეტი
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თითოეული ფაკულტეტს გააჩნია ფაკულტეტის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ფაკულტეტის სტატუსს, მიზნებს, ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. მოცემული მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა რეესტრის წარმოების საკითხებზე, რადგან ბოლო წლებში ეროვნულ ნორმატიულ დოკუმენტებში რიგი ცვლილებები შევიდა უცხოენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების წინაპირობებზე, მათი სტატუსის შეჩერების საკითხებზე და რეესტრში ასახვაზე. უნივერსიტეტის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან შეხვედრისა და მიღებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება, სეუ-ს ხელმძღვანელობა დაწესებულების მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მიმართულია გაზარდოს სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერნაციონალიზაციის პროცესში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის როლი და ჩართულობა, როგორიცაა საერთაშორისო კორპორაციებთან და უცხოელ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროექტების (საგანმანათლებლო, კვლევითი) დაგეგმვის, წარდგენისა და განხორციელების პროცესები. უნივერსიტეტის მონაცემები აჩვენებს, რომ მზარდია პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტების რიცხვი და მათთან

თანამშრომლობით დაგეგმილი/განხორციელებული საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტები. ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებისა და გაძლიერებისაკენ მიმართულმა აქტივობებმა შედეგად გამოიწვია სეუს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა: Erasmus+ CBHE, Jean Monnet, Erasmus+ Ka 171 (ICM), USAID, British Counsil, AUF და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 • საქართველოს ესროვნული უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2024-2026 • იურიდიულ ფაკულტეტის დებულება. • სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება. • ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება. • მედიცინის ფაკულტეტის დებულება. • უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი. ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის ხედვაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების საპასუხოდ და მათი კმაყოფილების მისაღწევად უზრუნველყოფდეს „უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასებასა და განვითარებას ყველა მიმართულებით - საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლა-სწავლება, სერვისები, რესურსები, ინტერნაციონალიზაცია, კვლევა, მართვა, სერვისები, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი კონტრიბუცია, საგანმანათლებლო სფეროში პოზიციონირება“ (ამონარიდი სეუ-ს თვითშეფასებიდან). ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტით განსაზღვრული ინტერვიუირებითა და დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულება პრაქტიკაში იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ: უნივერსიტეტს ხარისხის სისტემის დანერგვისა და განვითარებისათვის ძირითადი ჩარჩო-დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა“. ამ დოკუმენტით გაცხადებულია, რომ „სეუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის იმპლემენტაციისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტად და სისტემურად გამოყენების პროცესების ადმინისტრირება ხდება PDCA ციკლის გამოყენებით“. ამავე დოკუმენტში გაწერილია სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საკვანძო მიმართულებები და პროცესები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება;

2. სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება;

3. სერვისების შეფასება;

4. მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასება;

5. პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) შეფასება;

6. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება;

7. კვლევითი საქმიანობის შეფასება;

8. ინსტიტუციურ დონეზე მიღწეული და საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირების შედეგების შეფასება.

- უნივერსიტეტში ხარისხის მენეჯმენტსა და შეფასებას ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ინსტიტუციის მმართველ რგოლს წარმოადგენს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია და პრაქტიკაში მდგრადად გამოიყენება შემდეგი დოკუმენტები: უნივერსიტეტში შემუშავებულია და პრაქტიკაში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად არიან ჩართულები როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები.ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ნათელია, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის პერიოდული განახლება წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს და შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს. უნივერსიტეტში ტარდება შემდეგი გამოკითხვები:

- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (პროგრამის დასრულებისას);
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ (პრაქტიკის დასრულებისას);
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება სტუდენტის მიერ (ნაშრომის დასრულებისას);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ);
- სასწავლო კურსის თვითშეფასება (სემესტრში ერთხელ);
- პრაქტიკის თვითშეფასება და პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებით კმაყოფილება (პრაქტიკის დასრულებისას).
- პროგრამის თვითშეფასება (წელიწადში ერთხელ)
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სემესტრის დასრულებისას);
- სტუდენტთა საგამოცდო სისტემით კმაყოფილების კვლევა (სემესტრში ერთხელ);
- ადმინისტრაციული პერსონალის დამსაქმებელი კომპანიით კმაყოფილების კვლევა (წელიწადში ერთხელ);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამსაქმებელი კომპანიით კმაყოფილების კვლევა (წელიწადში ერთხელ);
- მობილობით გადმოსულ/გადასულ სტუდენტთა კვლევა (წელიწადში ორჯერ);
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ანალიზი (ყოველსემესტრულად);
- დასაქმების ფორუმით კმაყოფილების კვლევა (წელიწადში ერთხელ);
- სტუდენტთა დასაქმების კვლევა (წელიწადში ერთხელ).

სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საკვანძო მიმართულებებსა და პროცესებში ერთ-ერთია „მატერიალური, საბიბლიოთეკო, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების შეფასება“, რომლის პროცესშიც ყურადღება უნდა გამახვილდეს ვებ-გვერდის მართვასა და შეფასებაზე PDCA-ციკლის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სეუ-ს ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა https://seu.edu.ge/69?lang=ka
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

ვიზიტის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი/წესი, რომელიც არეგულირებს ქცევის წესებსა და ეთიკის საკითხებს, სადაც დეტალურად არის აღწერილი კონკრეტული გადაცდომის ფორმები და მათზე რეაგირების პროცედურები. ქცევის კოდექსი, კვლევის ეთიკის სტანდარტი და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი განსაზღვრავენ აკადემიური სივრცეში სხვადასხვა გადაცდომებს და დეტალურად აღწერენ შესაბამის პროედურებს. აქვე, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ონლაინ ქცევის წესების სახელმძღვანელო, რომელსაც საჭიროებისამებრ გამოიყენებს სასწავლო პროცესში, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს გახდა ცნობილი, დაწესებულებაში დანერგილია ტექსტებს შორის მსგავსების აღმომჩენი პროგრამა (TurnItIn), რომელსაც გამოიყენებენ პლაგიატის შემთხვევების პრევენციის მიზნით. ამ პროგრამის გამოყენება სავალდებულოა საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში, ხოლო სხვა სასწავლო კურსებსა და პროგრამებში გამოყენების საჭიროებას განსაზღვრავს კურსის ხელმძღვანელი.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პლაგიატის შესახებ ცნობიერება სტუდენტებში, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალში არსებობს, რაც მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს ინფორმაციის გავრცელებასა და მიწოდების მიმართულებით. აქვე, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ შესაძლებელობა აქვთ წინასწარ შეამოწმონ ნაშრომი შესაძლო მსგავსებებზე და მხოლოდ შემდეგ წარადგინონ, რაც კიდევ უფრო ამცირებს პლაგიატის რისკს და ერთგვარ პრევენციულ ნაბიჯად მოიაზრება.

ექსპერტთა მხრიდან აკადემიურ პერსონალთან დაისვა რამდენიმე შეკითხვა, რომელზე პასუხების მიხედვითაც დგინდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიური თავისუფლების დაცვას, აძლევს მათ შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ კვლევითი პრიორიტეტები, სასწავლო კურსის შინაარსი და

შეფასების მეთოდები. აკადემიურ თავისუფლებასთან, ქცევის კოდექსთან და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, პროცედურების და წესები ღიად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი https://seu.edu.ge/69?lang=ka. • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები. რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურებს. დოკუმენტი იწყება შესავლით, სადაც განმარტებულია, რომ სეუ ვალდებულია მუდმივად გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემოღებისა და არსებული პროგრამების განვითარების გზით. აქ ხაზგასმულია სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება და კურსების გაძლიერება შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად. დოკუმენტში განხილულია პროგრამის შემუშავებისა და გადასინჯვის მიზნები, რომლებიც მოიცავს პროგრამის შესაბამისობას მის დონესთან და შინაარსთან, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობას, სხვა პროგრამებთან და სეუ-ს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას და საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას. ახალი პროგრამის შემუშავებისას დოკუმენტი ადგენს ინიცირების პროცესს, რომელიც შეიძლება დაიწყოს ვიცე-რექტორმა ან დეკანმა. შემდეგ აკადემიური საბჭო განიხილავს წინადადებას და ინიშნება პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფს. ჯგუფი მოიცავს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და დაინტერესებულ მხარეებს. პროგრამის გადასინჯვა ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ. იქმნება სარევიზიო კომიტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს გადასინჯვის პროცესს. გადასინჯვის დროს

ყურადღება ექცევა სტუდენტთა კმაყოფილებას, აკრედიტაციის მოთხოვნებს, ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს და შრომის ბაზრის საჭიროებებს.

პროგრამის შეწყვეტის წინადადება შეიძლება წამოვიდეს ფაკულტეტის დეკანის, ვიცე-რექტორის აკადემიური მიმართულებით, რექტორის ან პროგრამის ხელმძღვანელისგან. აკადემიური საბჭო განიხილავს წინადადებას და იღებს გადაწყვეტილებას. დოკუმენტი ასევე ადგენს სტუდენტების დაცვის ზომებს პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში.

მთლიანად დოკუმენტი ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებას.

დოკუმენტის შესავალში ნახსენებია, რომ სეუ ყურადღებას ამახვილებს სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებასა და ინდივიდუალური სასწავლო კურსების გაძლიერებაზე ყოველწლიურად, შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებისა და გადასინჯვის მიზნებში მითითებულია:

- მოთხოვნა შრომის ბაზარზე
- პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას

აკადემიური საბჭოს მიერ ახალი პროგრამის განხილვისას ერთ-ერთი კრიტერიუმია „შრომის ბაზარზე არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნა" და „კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერის განვითარების პერსპექტივები"

სავალდებულო დოკუმენტების ნაწილში ნახსენებია „დაინტერესებული მხარეთა მონაწილეობა და შრომის ბაზრის ანალიზი"

პროგრამების გადასინჯვას შეიძლება საფუძვლად დაედოს „შრომის ბაზრის მოთხოვნებში არსებული ცვლილებები"

როგორც ვხედავთ, შრომის ბაზარზე ორიენტაცია არის მნიშვნელოვანი ასპექტი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხილვისა და გადასინჯვის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

უნივერსიტეტმა დოკუმენტურად წარადგინა სასწავლო პროგრამები და სილაბუსები თითოეული საგნისათვის. პროგრამები შექმნილია მოქმედი კანონმდებლობისა და ECTS- ის სტანდარტების მიხედვით. სწავლის შედეგები მოცემულია თითოეულ პროგრამასა და საგნის სილაბუსებში, სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები სრულიად შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი სწავლების მეთოდები - როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პაციენტის საწოლთან სწავლება. სილაბუსისების შინაარსს აქვს ლოგიკური კავშირი მის ყველა კომპონენტთან და სწავლის შედეგების მიღწევასთან მედიცინის მიმართულებით. კურიკულუმის მუდმივი განახლებადობისა და კვლევების შესახებ ინფორმირებულობის განხილვისას, უსდ-ის პროფესორებისა და პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან ნათლად ჩანდა, თუ როგორ მიიღწეოდა ეს. ფაკულტეტის წევრებს კარგად ესმით სწავლის შედეგების შეფასება, სწავლის შედეგები და მათი როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში კარგად არის გააზრებული.

უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული გარკვეული მეთოდები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მიმართულებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ემსახურება სტუდენტებისთვის (რომელთაც აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებები) სასწავლო პროცესის შეუქცევადი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

უსდ-ს კურიკულუმის მუდმივი განახლებადობისა და კვლევების შესახებ ინფორმირებულობის განხილვისას, პროფესორებისა და პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან ნათლად ჩანდა, თუ როგორ მიიღწეოდა ეს., ფაკულტეტის წევრებს კარგად ესმით სწავლის შედეგების შეფასება, როგორც ჩანს, სწავლის შედეგები და მათი როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში კარგად არის გააზრებული. სტუდენტებში (ისევე, როგორც პერსონალში) უცხო ენის ცოდნის კარგი დონე შეინიშნება.

პროგრამა და სილაბუსი შედგენილია არსებული მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო მასალები-წიგნები, აგრეთვე ელექტრონული მატარებლები, რომლებიც მითითებული სილაბუსში სხვადასხვა პროგრამებისთვის, სავალდებულო, ასევე არა სავალდებულო საგნებისათვის, შემთხვევითი შერჩევით იქნა შემოწმებული და აღმოჩნდა, რომ ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკაში. საგნების სილაბუსების სასწავლო მასალის ნახლდება ბოლოდროინდელი გამოცემებით, თანამედროვე ცოდნის უზრუნველყოფის მიზნით. სილაბუსის შინაარსს აქვს ლოგიკური კავშირი მის ყველა კომპონენტთან და სწავლის შედეგების მიღწევასთან. საგანმანათლებლო პროგრამები (რეგულირებული პროგრამების გარდა) შეიძლება შემუშავდეს ისე, რომ სტუდენტებს საშუალებას მისცემს აირჩიონ სწავლების დამატებითი პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასახავს დარგის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები
- მოდიფიცირებული სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

უსდ-ს ასევე შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიას.

დოკუმენტი იწყება წინასიტყვაობით, სადაც განმარტებულია, რომ სწავლება და სწავლა წარმოადგენს დინამიურ, თანმიმდევრულ პროცესს, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ეტაპებისგან. ხაზგასმულია, რომ საქმე გვაქვს არა ერთჯერად, არამედ უწყვეტ PDCA ციკლთან, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს და გაუმჯობესებას.

დოკუმენტში განხილულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ხუთი ეტაპი:

1. სწავლის შედეგების ფორმირება (დაგეგმვის ეტაპი)
2. პროგრამის განხორციელება (კეთების ეტაპი)
3. კურიკულუმის მონიტორინგი (შემოწმების ეტაპი)
4. სწავლის შედეგების ანალიზი
5. ანალიზის შედეგების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება

დოკუმენტში დეტალურადაა ახსნილი, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. სწავლის შედეგების ფორმირებისას ითვალისწინებენ უნივერსიტეტის მისიას, პროგრამის მიზნებს და სტრატეგიული განვითარების გეგმას. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა აღწერდეს, რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

დოკუმენტში წარმოდგენილია ის ძირითადი მოთხოვნები, რაც უნდა გავითვალისწინოთ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, მათ შორის:

- შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან
- სირთულის განსხვავება პროგრამის საფეხურის მიხედვით
- შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება
- შეფასებადობა და მიღწევადობა

აღწერილია კურიკულუმის მონიტორინგის პროცესი, რომლის დროსაც იქმნება კურიკულუმის რუკა. ეს რუკა აჩვენებს, თუ რომელი სასწავლო კურსი რომელ სწავლის შედეგს ავითარებს სამი პროგრესული დონით: გაცნობა (I), გაღრმავება (D) და განმტკიცება (M).

დოკუმენტი ასევე აღწერს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი მეთოდებია გამოცდების შედეგები, პორტფოლიო, შემაჯამებელი სასწავლო კურსი და სხვა, ხოლო არაპირდაპირი მეთოდებია დასაქმების მაჩვენებელი, გამოკითხვები, კითხვარები და ა.შ.

ბოლოს, დოკუმენტში განხილულია ანალიზის შედეგების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება. ანალიზის შედეგები დარდება სამიზნე ნიშნულებთან და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება გაუმჯობესების

ღონისძიებები, როგორიცაა ცვლილებები სასწავლო კურსების შინაარსში, წინაპირობებში, თანმიმდევრობაში და ა.შ. დოკუმენტს ერთვის ორი დანართი: ბლუმის განახლებული ტაქსონომია და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკის ნიმუში, რომლებიც დამხმარე ინსტრუმენტებს წარმოადგენენ პროგრამის შემუშავების, განხორციელების და შეფასებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული

რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია გამჭვირვალე და სამართლიანი მიდგომების ფარგლებში მაღალი პოტენციალის, სათანადოდ მოტივირებული პროფესიონალების მოზიდვაზე, სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად პერსონალის მუდმივ განვითარებასა და მათი პოტენციალის მიზნობრივ რეალიზაციაზე; უნივერსიტეტი ზრუნავს კვალიფიციური პერსონალის შესაძლებლობების გაზრდაზე ეფექტური მართვისა და შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნის მეშვეობით.

უნივერსიტეტში სამუშაო პროცესის ანალიზის საფუძველზე ხდება ფუნქციების და მოვალეობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სავალდებულო განათლებისა და გამოცდილების, კომპეტენციების, უნარების, შესრულების ხარისხისა და სხვა პარამეტრების განსაზღვრა კონკრეტული პოზიციისთვის. უნივერსიტეტის პერსონალისთვის საჭირო კომპეტენციები დიფერენცირებულია ორგანიზაციის, პასუხისმგებლობის, სამუშაოს კატეგორიისა და კონკრეტული სამუშაოს დონეების მიხედვით, ასევე, დეტალურად მოცემულია სამუშაო აღწერილობებში თითოეული თანამდებობისათვის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს უფლებებს, ურთიერთვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს. ამ დოკუმენტის მიხედვით, თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სეუ-სთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს სეუ-ს განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და სეუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობას. ამ საქმიანობიდან გამომდინარე, მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმდებითი საქმიანობის შედეგები კი ეთვლება სეუ-ს. აფილირებული პირების აკადემიური საქმიანობის მხარდაჭერისა და აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით სეუ იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს, როგორებიცაა: დაფინანსება (სრული ან ნაწილობრივი), ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი, სამეცნიერ-შემოქმედებითი შვებულება, მადლობის გამოცხადება, მომზადების, გადამზადებისა და კლვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაფინანსება და სხვა.

უნივერსიტეტში პერსონალის მიღების პროცედურა გამჭვირვალე და ობიექტურია, რაც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. ადამიანური რესურსების მოზიდვისა და შერჩევის პროცესი ხორციელდება არსებული და მომავალი ვაკანსიების, სამუშაოს აღწერილობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელთა მიერ შესარჩევად შემდეგი ფორმით: შიდა შერჩევა - შიდა შერჩევის პროცესის მსვლელობაში, ვაკანსია შესაძლებელია შეივსოს უნივერსიტეტის თანამშრომლით ინტერვიუსა და უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე; მოზიდვა - ვაკანსიების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სხვადასხვა ვებ პორტალებსა და სოციალურ ქსელებში; დასაქმებული პერსონალის კონტაქტები ინფორმაციის აკადემიურ წრეებში გავრცელების მიზნით; ღია კონკურსი - უნივერსიტეტში ღია კონკურსი ორგანიზებულია თანაბარი შესაძლებლობების, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. ინფორმაცია ღია კონკურსის შესახებ იტვირთება სეუ-ს ვებგვერდზე და შესაბამის პორტალებზე. იმისთვის, რომ ახალმა პერსონალმა ადაპტირება გაიაროს უნივერსიტეტი ატარებს საორიენტაციო შეხვედრას სემესტრში ერთხელ. შეხვედრაზე პერსონალს მიეწოდება სრული ინფორმაცია შიდა რეგულაციების შესახებ, რაც ხელს უწყობს მას, სრულფასოვნად ჩაერთოს უნივერსიტეტის საქმიანობაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა სტრატეგიული და ოპერაციული მიზნის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო პერსონალის რაოდენობას.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პერსონალის შეფასების სისტემა. პერსონალის შეფასება ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების, სამუშაოს აღწერილობის, კომპეტენციების, წლიური მიზნების მიღწევის დონისა და ამოცანების შესრულების მიხედვით. თითოეული წლის დასაწყისში, შეფასების კომპონენტები და ინდიკატორები განისაზღვრება თითოეული თანამშრომლისათვის მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, დანერგილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები (მატერიალური და/ან არამატერიალური სტიმულირების მეთოდების გამოყენება); არაფორმალური პირადი განვითარება და/ან პროფესიული განვითარება (თანამშრომლის შემდგომი პროფესიული და/ან კარიერული განვითარებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია პერონალური განვითარების გეგმის მიხედვით); თანამშრომლის განთავისუფლება.

დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს პერსონალის კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევას, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის. კვლევის მიზანია სამუშაო

პირობებით, სამუშაო გარემოთი, შრომის ანაზღაურებით, სამუშაო გრაფიკით, განვითარების პერსპექტივით, კორპორატიული კულტურით, მართვითა და სეუ-ში მუშაობის სხვა ასპექტებით პერსონალის კმაყოფილების დონის იდენტიფიცირება. უსდ პერსონალის მართვის პროცესში აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონლის კმაყოფილებისა და ჩართულობის დონის დასადგენად, მოტივაციის და დემოტივაციის ფაქტორების განსასაზღვრად, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება და გაიზომოს ის სფეროები, სადაც უნდა გაუმჯობესდეს მორტივაციის პრაქტიკა. დაწესებულებას დანერგილი აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პერსონალის მართვის პოლიტიკა https://seu.edu.ge/69?lang=ka • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი https://seu.edu.ge/69?lang=ka • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა reg.seu.edu.ge
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომლებსაც აქვთ აკადემიური პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება. სეუ-ში კვალიფიციური აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება „აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი“-ს შესაბამისად, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს აკადემიურ პოზიციაზე დანიშვნის პირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, საკონკურსო კრიტერიუმებს და კონკურსის ეტაპებს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას და მათზე დავალებული ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არსებული ბალანსი უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამების მდგრადობას. საგანმანათლებლო

პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ როგორც საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის, ისე პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს პროგრამების შემუშავებასა და შეფასებაში, ჩართულია პროგრამების განხორციელებაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში. უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.უნივერსიტეტში სემესტრში ერთხელ ტარდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეესტრის საშუალებით. თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სეუ-სთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს სეუ-ს განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და სეუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ https://seu.edu.ge/69?lang=ka • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი https://seu.edu.ge/69?lang=ka
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის,კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები გამჭვირვალე და სამართლიანია. აღნიშნული განსაზღვრულია სასწავლო პროცესის რეგულირების წესში. . ამავე დოკუმენტში გაწერილია სასწავლო პროცესის ვადები,საკრედიტო სისტემა, სტუდენტთა შეფასების სისტემა,გამოცდის ჩატარების ზოგადი წესი,გასაჩივრების პროცედურა . რაც შეეხება სტუდენტთა უფლებებსა და ვალდებულებებს , მათი კანონიერი დაცვის მექანიზმებს გარდა სასწავლო პროცესის რეგულირების წესისა, განსაზღვრავს ეთიკის კოდექსი და შინაგანაწესი. სამივე მარეგულირებელი დოკუმენტი საჯაროა და ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა,რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით. აღნიშნული ძალიან ეხმარებათ სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის შეთავსებაში. ასევე მათთვის კომფორტულია ის ,რომ შუალედური და საფინალო ტესტების ჩაბარება ერთ ფიქსირებულ დროზე არ ხდება და თავად ირჩევენ განსაზღვრული კვირის განმავლობაში სასურველ საგამოცდო დროს. სტუდენტები იცნობენ მათ უფლებებს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასების გასაჩივრების შესახებ. მათ შეუძლიათ ელექტრონულად დასაბუთებული საჩივრის გაგზავნა და 5 სამუშაო დღის განმავლობაში პასუხის მიღება. დიგიტალიზაციის მოქნილი სისტემა,მათ შორის ელექტრონული ბაზა, მათ ეხმარებათ ყველა საჭირო დოკუმენტის სწრაფად მიღებასა და დროის დაზოგვაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა ,რომლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს თითოეულ სტუდენტს. ამგვარად, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად და ასევე აღნიშნულმა დოკუმენტებმა ცხადყო,რომ სეუ ეფექტურად და დროულად უზრუნველყოფს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურის წარმართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი https://seu.edu.ge/69?lang=ka
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სეუში ყველა სტუდენტს აქვს წვდომა საკონსულტაციო მომსახურებაზე,რომელიც ეხმარება სტუდენტს მასზე მორგებული სასწავლო გრაფიკის შედგენასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტუდენტთა კლუბი,რომელთა მონაწილეები სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას აორგანიზებენ. კლუბი შექმნილია,როგორც ქართველი ,ასევე უცხოელი სტუდენტების მიერ. სეუ უზრუნველყოფს სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას.

თუმცა, ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს ნაკლებად აქვთ ინტერესი კვლევითი პროექტებისადმი და მათ შესახებ ინფორმირებულობა მიუხედავად აქამდე ჩატარებული ღონისძიებებისა ამ მიმართულებით მაინც დაბალია. ვინაიდან აღნიშნული პრაქტიკული კომპონენტი მათი კარიერული განვითარების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ,ამიტომ სასურველია ამ მიმართულებით უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება.

უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი,რომელიც უზრუნველოფს დასაქმების ფორუმებს,კონფერენციებს,სტუდენტებთნ ინდივიდუალურ შეხვედრებს ,თემატურ კონფერენციებს. ყოველწლიურად იმართება მასშტაბური დასაქმების ფორუმები,რომელშიც მონაწილეობას,როგორც ადგილობრივი ,ასევე საერთაშორისო კომპანიები იღებენ. ასევე არსებობს პარტნიორთა ბაზა,რომელშიც აღწერილია ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ. შექმნილია დამსაქმებელთა ბაზა,რომელიც სტუდენტსა და კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს იმისა,რომ მუდმივად განახლებული ინფორმაცია მიიღოს. სეუს საიტზე სტუდენტს მარტივად შეუძლია აქტიური ვაკანსიების, ღონისძიებების, სტაჟირებისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ნახვა.

აღსანიშნავია კურსდამთავრებულებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი გამოცდილების გაზიარება სტუდენტებისთვის.2024 წელს ჩამოყალიბდა სეუში კურსდამთვრებულთა დებულება. ასევე განისაზღრა კურსდამთავრებულთა ასოციაციისა და ელჩის კონცეფცია. შექმნილია დებულება სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია ეტაპები,პრაქტიკის ხელმძღვანელის ვალდებულებები, სტუდენტთა უფლება-მოვალეობები,პრაქტიკის დღიური და ანგარიში.კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ინტერვიუდან ირკვევა,რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა კვლევა აქტიურად მიმდინარეობს და ხდება ბაზის განახლება,რამდენად არიან დასაქმებული მათი კვალიფიკაციის მიხედვით. ასევე სეუ მუდმივად ახორციელებს სტუდენტთა კვლევას დასაქმების კუთხით. 2024 წელს 1783 სტუდენტის კვლევა ჩატარდა დასაქმების კუთხით. აღმოჩნდა,რომ საკუთარი პროფესიით დასაქმებულია 11,38%(203 სტუდენტი), სხვა პროფესიით 21,09%(376 სტუდენტი), სტუდენტთა დიდი ნაწილი 67,53% დაუსაქმებელია(1204). დაუსაქმებელ სტუნდენტთა 19,19%-ს არ სურს დასაქმება. სასურველია სამომავლოდ სეუმ კიდევ უფრო ხელი შეუწყოს სტუდენტთა დასაქმებას, განსაკუთრებით იმ სფეროებში,სადაც დასაქმების მაჩვენებელი ძალიან დაბალია ან საერთოდ არ არის: ეს ეხება მონაცემთა მეცნიერებას, ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამას და მედიცინას. აღსანიშნავია,რომ გამოკითხულთა 49,46% მიიჩნევს,რომ უნივერსიტეტი დაეხმარა ზოგადი უნარების გამომუშავებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილ სირთულეებს, რაც ენობრივი ბარიერებიდან გამომდინარეობს. მნიშვნელოვანია პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოხდეს მათი დასაქმების ხელშეწყობა.

სოციალურად მოწყვლად და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, რაც მიზნად ისახავს მათი დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას.

სეუ სტუდენტებს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას აძლევს და ასევე ხელს უწყობს მათ სხვადასხვა პროექტში მონაწილეობას. ამის შესახებ სტუდენტის ინფორმირება ხდება,როგორც ხელმძღვანელის მიერ ,ასევე ელექტრონული საშუალებებით. 2023-2025 წლებში 16 სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით. სასურველია სამომავლოდ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში უფრო მეტი სტუდენტის ჩართვა.

2021-2022 წლების მიხედვით, ასევე 2022-2023 წლის ,როგორც გაზაფხულის,ასევე შემოდგომის სემესტრის მიხედვით სტუდენტების უმეტესობის აკადემიური მოსწრება წარმოადგენდა F ქულას. სეუმ სამომავლოდ მიზნად უნდა დაისახოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება,ვინაიდან აკადემიური მოსწრება

გარკვეულწილად განათლების ხარისხის ინდიკატორია,ასევე იგი პირდაპირ გავლენას ახდენს სტუდენტთა დასაქმების სამომავლო პერსპექტივასა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კურსდამთავრებულთა დებულება, დებულება სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ https://seu.edu.ge/69?lang=ka; • სტუდენტურ კლუბთა დებულება https://seu.edu.ge/132?lang=ka ; • გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა სტატისტიკა 2023-2025; • აკადემიური მოსწრების ანალიზი 2021-2023წწ; • სტუდენტთა დასაქმების კვლევა 2024წ; • კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახური- დანართი N1 • სტუდენტთა ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სეუ-ს აქვს სამეცნიერო კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის, რომლის მიზანია **ფუნდამენტურ და გამოყენებითი კვლევებით საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება.** უსდ-ს გააჩნია შიდა დაფინანსების მექანიზმის შიდა საგარნტო პროექტების კონკურსის გამოცხადებით. წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია 2021-2024 წლებში დაფინანსებული სხვადასხვა საგრანტო პროექტი უსდ-ს გააჩნიამექანიზმი კვლევის შედეგების სასწავლო აქტივობებში ინტეგრირების შესახებ. გასაუბრებისას ხაზი გაესვა კვლევითი შედეგების ინტეგრირების თაობაზე. უსდ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმი მრავალ ეკონომიკურ აგენტთან, თუმცა ამ ეტაპისათვის არ არსებობს რაიმე მტკიცებულება ერთობლივად განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, როგორც კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუცია. უნივერსიტეტი აცხადებს, რომ კვლევითი საქმიანობა მისი გრძელვადიანი პრიორიტეტია და მომავალში თავს განიხილავს როგორც კვლევით უნივერსიტეტს. ეს არის მკაფიო განაცხადი ინსტიტუციური მისწრაფების შესახებ.

კვლევითი მიმართულების დაფინანსების ზრდა 2024 წელს მიანიშნებს, რომ ეს ხედვა არ არის მხოლოდ დეკლარაციული - უნივერსიტეტი პრაქტიკული ნაბიჯებით ამტკიცებს თავის მზაობას გახდეს კვლევითი ინსტიტუცია.

2024-2026 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია კვლევითი პოტენციალის განვითარებაზე, რაც ასევე ადასტურებს სტრუქტურირებულ ხედვას კვლევითი უნივერსიტეტის შექმნისკენ.

კონკრეტული სამიზნე თარიღის (2027 წელი) დასახვა სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს აქვს არა მხოლოდ ხედვა, არამედ დაგეგმილი გზა ამ ხედვის რეალიზებისთვის.

აფილირების ახალი წესის შემუშავება კვლევითი გამოცდილების მქონე სპეციალისტების მოსაზიდად მიუთითებს სტრატეგიულ მიდგომაზე ადამიანური რესურსების განვითარებისთვის, რაც აუცილებელია კვლევითი ინსტიტუციისთვის.

კვლევითი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების გაძლიერების გეგმა მიანიშნებს, რომ უნივერსიტეტს ესმის კვლევითი უნივერსიტეტის მატერიალური საჭიროებები.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს აქვს არა მხოლოდ ჩამოყალიბებული ხედვა, არამედ კონკრეტული, ეტაპობრივი გეგმა, როგორ გადაიქცეს კვლევების განმახორციელებელ ინსტიტუციად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სეუ-ს მისია, ხედვა
- სეუ-ს სტრატეგიული გეგმა

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია 2020-2026 წლებისთვის, სათაურით "ინსტიტუციური გარდაქმნისკენ მიმართული ძლიერი სამეცნიერო კვლევა". დოკუმენტი დამტკიცდა რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის №971 ბრძანებით. სტრატეგიის მთავარი მიზანია ინსტიტუციონალურ დონეზე ჩატარებული კვლევების გაღრმავება, რაც დადებითად აისახება არა მხოლოდ სეუ-ზე, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

სტრატეგია მოიცავს ოთხ ძირითად პრიორიტეტს:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა
2. სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის გაზრდა
3. აქტიური სამეცნიერო-კვლევითი კლიმატის შექმნა
4. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება და სადოქტორო პროგრამების დამატება

გასაუბრების დროს ზედა რგოლის მენეჯმენტმა აღნიშნა, რომ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი გარდაიქმნას "სასწავლო უნივერსიტეტიდან" "უნივერსიტეტისკენ" და გააძლიეროს კვლევითი მიმართულება. ასევე მოცემულია კონკრეტული KPI-ები (საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები) და დამხმარე ღონისძიებები სტრატეგიის განსახორციელებლად.

უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტი ახორციელებს:

- აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობას
- კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას
- ახალგაზრდა მკვლევარების კვლევითი უნარების განვითარების მხარდაჭერას
- საგრანტო კონკურსების ორგანიზებას

უსდ-ს შემუშავებული აქვს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2022 წლის 23 მარტის №236 ბრძანებით. დებულება არეგულირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მისი მართვის პრინციპებს, ფინანსურ საკითხებს და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემას.

დებულების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები, უნივერსიტეტის მისია, დებულება, ძირითადი ღირებულებები და პრინციპები.

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მიზნებია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება, ახალი ცოდნის შექმნა და გაზიარება, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მართვა მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, ვიცე-რექტორის და სამსახურის ფუნქციებს, პროექტების მართვის მენეჯერის როლს.

ინსტიტუციური კვლევითი ფონდი (IRF) შექმნილია დაფინანსების მექანიზმების გასაუმჯობესებლად, პროექტების განვითარებისთვის და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების დასახმარებლად.

საგრანტო პროექტების მართვის პროცესი განსაზღვრავს საგრანტო პროექტების ტიპებს, მიმღებ პირებს, შეფასების კრიტერიუმებს და ანგარიშგებას.

დებულება ასევე მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს, განმარტავს პლაგიატს, მის თვითპრევენციას და ორიგინალი ტექსტის დასაშვები მოცულობის ზღვარს.

დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სტრუქტურას და საქმიანობის შეფასებას, ასევე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას. დოკუმენტი ასევე აღწერს უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალებს.

უსდ მიერ გაუმჯობესების მიზნით შემდეგი აქტივობებია დაგეგმილი:

- კვლევით განვითარების პოტენციალის შეფასება
- კვლევითი საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაძლიერება
- სპეციალური კვლევითი შესაძლებლობების განვითარების პროგრამის შემუშავება
- საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის ინტენსიურობის ზრდა

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია "ახალგაზრდა მკვლევარების კვლევითი უნარების განვითარების მხარდაჭერა",

გასაუბრებიდან დგინდება, ასევე დოკუმენტში არის ნახსენები, რომ თვითშეფასების ანგარიშში "საერთაშორისო პარტნიორობა" (გვ. 57) აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ორგანიზებას უწევს სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებს. 2021-2024 წლებში ჩატარდა 8 საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, 4 სამეცნიერო მულტიდისციპლინური კონფერენცია და 3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

უნივერსიტეტი აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალს "VECTORS OF SOCIAL SCIENCES", რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, მათ შორის ERIHPLUS-სა და EBSCO-ში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აქტივობა "Horizon Europe-ის ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობისთვის მზაობისა და მოთხოვნების შეფასება" სრულად განხორციელდა.

დოკუმენტში ნახსენებია (გვ. 82) სამოქმედო გეგმის აქტივობა "შეიქმნება პარტნიორობა, ერთობლივი პროგრამების შეთავაზების მიზნით", რომელიც მეტწილად განხორციელდა და მიმდინარეობს.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის დებულებაში ასახულია კვლევების დაფინანსების საჯარო და გამჭვირვალე პროცედურები, კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები და ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია. უსდ-ს მიერ დოკუმენტში აღწერილია უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი ახალგაზრდა მკვლევრების ინიციატივები, მათ შორის მასტერკლასები, ესეების კონკურსები და სამეცნიერო სტატიების კონკურსები. განსაკუთრებით ვრცლად არის წარმოდგენილი საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი აქტივობები, რომლებიც მოიცავს კონფერენციებს, ვორქშოფებსა და ერთობლივ პროექტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან. სეუ არის ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში და ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევრების განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ სეუ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო კვლევების წახალისების მექანიზმი და ამ მხრივ ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე ვლინდება, რომ უსდ-ში ეს სფერო კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას. კერძოდ, შეიმჩნევა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში (Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებული) გამოქვეყნებული სტატიების სიმცირე. უნივერსიტეტს კი გააჩნია საკმარისი რესურსები, რათა ამ მიმართულებით წარმართოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაუმჯობესებისა და სამეცნიერო პოტენციალის ხარისხობრივი გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია
- კვლევითი საქმიანობის დაფინანსების დინამიკა და სტრატეგიული განვითარება
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულება
- სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია 2020-2026
- კვლვეითი პროექტების ჩამონათვალი
- 2024 წელს საერთაშორისოდ გამოქვეყნებული სტატიები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (Scopus და Web of Science-ში და ა.შ ინდექსირებული) სამეცნიერო სტატიების

გამოქვეყნების ხელშეწყობის მექანიზმები. სასურველია, შემუშავდეს მიზნობრივი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს: აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი ფინანსური წახალისების სისტემის დახვეწას, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების მომზადებისთვის საჭირო უნარების განვითარების ტრენინგებს, უცხოელ მკვლევრებთან თანაავტორობის ხელშეწყობას და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის გაზრდას.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულებაში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რეგულირდება 29-34 მუხლებით. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები რეგულირდება 29-32 მუხლებით. უნივერსიტეტის ან მისი ფაკულტეტის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას კვლევითი ინსტიტუტი ან ცენტრი. მათი მიზანია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის, სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების ეფექტიანობის ხელშეწყობა, ფუნდამენტური და გამოყენებადი კვლევების, საკონსულტაციო და საექსპერტო-ანალიტიკური მუშაობის განხორციელება, სამეცნიერო კადრების მომზადება და მათი პროფესიული განვითარება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებში ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა. კვლევითი ერთეულის სტრუქტურა შედგება აკადემიური პერსონალისა და მმართველი ორგანოებისგან - დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოსგან. ერთეულში შეიძლება შეიქმნას დარგობრივი განყოფილებები ან სექტორები. სამეცნიერო პერსონალი ძირითადად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან კომპლექტდება, თუმცა კონკრეტული პროექტებისთვის შესაძლებელია მოწვეული იყოს გარე სპეციალისტი. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობა მოიცავს კონფერენციების ორგანიზებას, საგრანტო პროექტების განხორციელებას და სხვა სამეცნიერო აქტივობებს. ერთეულის მუშაობის შეფასება ხდება ყოველწლიურად 100-ქულიანი სისტემით. შეფასების შედეგი შეიძლება იყოს: საუკეთესო (90-100 ქულა), კარგი (71-90 ქულა), საკმარისი (51-70 ქულა) ან დამაკმაყოფილებელი (31-50 ქულა). აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რეგულირდება 33-34 მუხლებით. საუნივერსიტეტო კვლევას ახორციელებს აკადემიური პერსონალი, მათ შორის აფილირებული პერსონალი, რომელიც კვლევას უნივერსიტეტის სახელით ატარებს. პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური პროდუქტიულობის შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, ხოლო ატესტაცია - სამ წელიწადში ერთხელ. შეფასება ხორციელდება ოთხი კრიტერიუმით: სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება, სამეცნიერო გრანტის მოპოვება ან პროექტში მონაწილეობა, სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობა და სამეცნიერო ცოდნის

გაზიარება. ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობის ქულები ჯამდება და განისაზღვრება სამი დონით: პროფესორებისთვის სამიზნე ნიშნული 30 ქულაა, ასოცირებული პროფესორებისთვის - 20 ქულა, ხოლო ასისტენტ პროფესორებისთვის - 10 ქულა.

შეფასების შედეგი შეიძლება იყოს გადაჭარბებით შესრულებული (მინიმუმ 50%-ით მეტი ქულა მოსალოდნელზე), შესრულებული (შეესაბამება მოსალოდნელ რაოდენობას) ან შეუსრულებელი (დაბალია მოსალოდნელზე). ატესტაციის შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის განსაზღვრისას, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის შერჩევისას და სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელებისას.

პერსონალის შეფასება ხდება ხარისხობრივად და რაოდენობრივად. ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმები მოიცავს: პუბლიკაციას, გრანტს/შემოქმედებით პროექტს, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას, სამეცნიერო ცოდნის გაზიარებას, საქმიანობას შესაძლო კვლევითი ელემენტებით, საერთაშორისო რეიტინგს/ზეგავლენას მეცნიერებაზე.

რაოდენობრივი შეფასება ხდება პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით. დოკუმენტში მითითებულია, რომ 2020-2023 წლებში შეფასდა აფილირებული პერსონალის პროდუქტიულობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად. ასევე შეფასდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისოდ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა.

დოკუმენტში წარმოდგენილია ხარისხის ძირითადი ინდიკატორები (KPI), 91-92 გვერდებზე, სადაც მოცემულია შემდეგი ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდება კვლევით საქმიანობას: KPI 4: კვლევის ბიუჯეტი მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში (0.30% 2023 წელს), KPI 5: რეფერირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა (1.3 2023 წელს)

უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ეფექტურობის ანალიზი. ეფექტურობის შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს 2024 წლის საერთაშორისო გამოქვეყნებების ანალიზის თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა 2024 წელს გამოაქვეყნა 37 საერთაშორისო სტატია. თემატური განაწილებით გამოირჩევა ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის სფერო (10 სტატია), განათლების სფერო (6 სტატია) და ელექტრომაგნიტური გამოსხივების/ფიზიკის სფერო (5 სტატია). დანარჩენი სტატიები ნაწილდება მედიცინის, მიგრაციის, ეკოლოგიის, სამართლის, მედიისა და მენეჯმენტის სფეროებში.

ავტორობის თვალსაზრისით, 19 სტატია გამოქვეყნდა 2-3 ავტორის თანაავტორობით, 13 სტატია - მრავალი ავტორის მიერ (4+), ხოლო 5 სტატია - ინდივიდუალური ავტორობით. პუბლიკაციების ფორმატის მიხედვით, 25 სტატია გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებში, 10 - საკონფერენციო მასალებში, ხოლო 2 - წიგნის თავის ან მონოგრაფიის სახით.

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (სკოპუსი ან Web of Science) სავარაუდოდ ინდექსირებულია რამდენიმე გამოცემა, მათ შორის International Journal of Computing, Asia-Pacific Microwave Conference, URSI AT-RASC, Journal of Education in Black Sea Region, Journal of Business და WORLD ALLERGY CONGRESS WAC 24.

სამეცნიერო კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი, ასევე რექტორი და საფინანსო კომიტეტი, რომლებიც მონაწილეობენ კვლევითი დაფინანსების გადაწყვეტილებების მიღებაში.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილია (დამატებით მოთხოვნილ) ,,კვლევითი საქმიანობის დაფინანსების დინამიკა და სტრატეგიული განვითარება". ანგარიშში ასახულია, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი კვლევით საქმიანობას მიიჩნევს გრძელვადიან პრიორიტეტად და მიზნად ისახავს კვლევითი უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვებას. 2024 წელს გაიზარდა კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, რაც აჩვენებს ამ მიმართულების სტრატეგიულ მნიშვნელობას. უნივერსიტეტი 2024-2026 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმით ანვითარებს კვლევით პოტენციალს რესურსების ეფექტიანი გადანაწილებით, რათა 2027 წლისთვის დაიწყოს სადოქტორო პროგრამების განხორციელება. ამისთვის შემუშავებულია აფილირების ახალი წესი კვლევითი გამოცდილების მქონე სპეციალისტების მოსაზიდად და იგეგმება კვლევითი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური

რესურსების განვითარება. როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, ყველა ეს ზომა მიმართულია არა მხოლოდ კვლევითი ბიუჯეტის გაზრდისკენ, არამედ კვლევების ხარისხისა და რაოდენობის ზრდისკენ, რაც შექმნის სათანადო პირობებს სადოქტორო პროგრამების დასაწყებად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის • სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულება • სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია 2020-2026
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ამჟამად საკუთრებაში ფლობს 4 შენობას ერთ კომპლექსში. ყველა შენობა გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესისათვის, ასევე, დამხმარე მომსახურებისთვის - ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსოები, სანიტარიული კვანძები, არქივი, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, სპორტული ობიექტები, საწყობები, ინვენტარის საცავები და სხვ. უნივესიტეტის კამპუსი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით და რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია

სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. ყველა აუდიტორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერითა და მონიტორით, ე.წ. "ჭკვიანი დაფებითა" და სენსორული დაფებით. უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში გამოცდების შეუფერხებელ ჩატარებას.

უნივერსიტეტის ყველა შენობის საგანმანათლებლო და კვლევითი ლაბორატორიები აღჭურვილია ფაკულტეტების მოთხოვნების შესაბამისად. ამჟამად, ფუნქციონირებს AI ლაბორატორია, ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია, ჟურნალისტიკის სპეციალური ლაბორატორია, ფსიქოკონსულტირების ცენტრი, სტომატოლოგიის ლაბორატორია, სამედიცინო ლაბორატორიისა და სიმულაციური კლინიკები, ასევე ქიმიური, ბიოლოგიური და ანატომიური ლაბორატორიები. გამოყოფილია სივრცე პრაქტიკული მეცადინეობებისა და ტრენინგებისთვის, რომელსაც მართავენ პარტნიორი ორგანიზაციები უნივერსიტეტის შენობაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ქირურგიული კაბინეტი, სიმულაციური ცენტრი, სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც მოიცავს სასწავლო კომპონენტებით გათვალსწინებულ მანეკენებს, სამედიცინო ინსტრუმენტებს, აპარატურას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. უნივერსიტეტს აქვს აფილირებული კლინიკა - ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი (American Hospital Tbilisi).

მედიცინის მიმართულების პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები, სპეციალიზირებული კაბინეტები, ლაბორატორიები (ქიმია და ბიოქიმია, ჰისტოლოგია და მიკრობიოლოგია; ანატომია; სიმულაციური ლაბორატორიები). მულტიპროფილური, მაღალტექნოლოგიური სიმულაციური ცენტრი აღჭურვილია მულაჟებით, სიმულატორებითა და უახლესი სამედიცინო აპარატურით.

ცენტრის ბაზაზე განთავსებულია ქირურგიული კაბინეტი, ლაბორატორიული სექტორი, რომელიც მოიცავს როგორც ლაბორატორიის პრაქტიკულ საქმიანობას, ასევე „სამედიცინო მოდელებზე“ მუშაობის შესაძლებლობას. სიმულაციურ ცენტრში მიმდინარეობს მოზრდილი და პედიატრიული სექტორის პაციენტებისათვის განკუთვნილი მანიპულაციების შესწავლა. სტუდენტები პრაქტიკაში ახორციელებენ მოვლის კლინიკური უნარ-ჩვევების, პირველადი გადაუდებელი და ქირურგიული დახმარების უნარების გამომუშავებას. სიმულაციური ცენტრი აღჭურვილია მულტიფუნქციური მანეკენებით და მაღალტექნოლოგიური სიმულატორებით, ასევე მანიპულაციისთვის საჭირო ყველა ინსტურემენტებით და მასალებით.

უნივერსიტეტის ყველა შენობა და ობიექტი უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრომომარაგებით. ყველა შენობას აქვს თავისი სანიტარული დანაყოფები, რომლებიც ნიავდება გათბობისა და ვენტილაციის ერთობლივი სისტემის საშუალებით.ყველა საკლასო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება.

უნივერსიტეტს გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი აღჭურვილობა. ხანძრისაგან თავის დასაცავად ცეცხლმაქრები გამართულია და მისი გამოყენების ინსტრუქციები ხელმისაწვდომია. საევაკუაციო გეგმები განთავსებულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში. ყველა შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი.

უნივერსიტეტი შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დაწესებულებას დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებიც დროულად და ეფექტურად რეაგირებენ წესრიგის დარღვევებზე და უზრუნველყოფენ

დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვას. დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები შენობების შიდა და გარე პერიმეტრებზე.

უნივერსიტეტს ჰყავს სამედიცინო პერსონალი, რომელიც პირველადი სამედიცინო დახმარებას უწევს სეუ–ს სტუდენტებს და თანამშრომლებს. სამედიცინო ოფისი აღჭურვილია სამედიცინო აპარატურით და ინვენტარით.

უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებზე. გარდა ამისა, დაწესებულების შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. შენობები უზრუნველყოფილია ლიფტებით და ადაპტირებული სველი წერტილებით. სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ბიბლიოთეკაზე, კომპიუტერულ კლასებზე, ადმინისტრაციასა და შესაბამის სამსახურებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა
- ვიზიტი დაწესებულებაში
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სტუდენტთა და პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. უსდ-ს აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები განთავსებულია თავად ბიბლიოთეკაში და უსდ-ს ვებგვერდზე. ადგილზე არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატი, რომლებითაც სტუდნტებს შეუძლიათ სარგებლობა. ყველა წესი და ინსტრუქცია განთავსებულია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ყველა იმ სასწავლო რესურსის შესახებ, რომელიც დაცულია ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდში წარმოდგენილი ლიტერატურა დამუშავებულია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის გათვალისიწნებით და თემატურად განლაგებულია ღია დაშვების თაროებზე. ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მსგავსი პრაქტიკა ხელს უწყობს მკითხველთა აქტიურ ჩართულობასა და ბიბლიოთეკით სარგებლობაზე დადებითად აისახება. ბიბლიოთეკის ელექტორნული კატალოგი ღიად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და მოიცავს ძირითადად ყველა იმ რესურს, რაც გათვალისიწნებულია სასწავლო კურსებით. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა პერიოდულობით ხდებოდა ახალი წინგებით ბიბლიოთეკის გამდიდრება, როგორც აკადმეიურმა პერსონალმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, წინასწარ განსაზღვრული სიხშირით მათ შესაძლებლობა აქვთ მოითხოვონ წინგნების შესყიდვა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს ერთ სივრცეში მიიღოს სხვადასხვა სერვისი. ისარგებლოს სასწავლო რესურსებით, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცით, დაესწროს სხვადასხვა შეხვედრებს ბიბლიოთეკაში არსებულ „Jean Monnet" აუდიტორიაში. საგანამანათლებლო ღონისძიებებს, ავტორთა პრეზენტაციებს, სემინარებს. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გამყარების სხვადასხვა პროექტებს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე. რეკომენდაციის გათალისწინებით სამართლის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის დაემატა HeinOnline -ის ბაზაზე წვდომა, რომელიც სამართლის სფეროს მოიცავს და ბოლო ორი წლის პერიოდში ვააქტიურებთ პერიოდულად წვდომას https://seu.edu.ge/110?lang=ka. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მოცემულია სამენციერო ბაზების გამოყენების მოკლე აღწერები და ინსტრუქციები, რაც ყველა დაინტერესებულ პირს დაეხმარება

რესურსების გამოყენებაში. ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის ღიაა კვირაში 6 დღე, ჯამში 66 საათი. ბიბლიოთეკის სამი თანამშრომელი მუდმივად მზადყოფნაშია გასცეს კონსულტაცია და დახმარება აღმოუჩინოს დაინტერესებულ პირებს. სტუდენტები ინტერვიუების დროს ადასტურებენ, რომ სარგებლობენ ბიბლითეკის სერვისით, ასევე, აღნიშნავენ, რომ საორიენტაციო შეხვედრის დროს გააცნეს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები და პროედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტი ვებ-გვერდი • სამეცნიერო ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი ხელშეკრულებები • ინტერვიუების შედეგები • • დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნესპროცესებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელოც შედგება სხვადასხვა მოდულებისა და ფუნქციებისაგან: სასწავლო პროცესის მართვა, სტუდენტის პერსონალური და აკადემიური მოსწრების ინფორმაცია, ფინანსური მოდული, სტუდენტის ფინანსური და გადახდების გრაფიკის ინფორმაცია, ბიბლიოთეკის მოდული, რომელიც უზრუნველყოფს სეუ-ს საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომას ამ სისტემაში დარეგისტრირებულთათვის (სტუდენტები, ადმინისტრაცია, აკადემიური/მოწვეული პერსონალი), ელექტრონული საქმისწარმოება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სეუ-ს დოკუმეტების ბრუნვა, ელექტრონული საგამოცდო მოდული, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესი.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა განკუთვნილია სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასებისათვის; ლექტორის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგისთვის; სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის; სტუდენტთა და ლექტორთა ინფორმირებისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ავტომატურად ახდენს სტუდენტის მიმდინარე აკადემიური მოსწრების ქულათა დაჯამებას, მათ დასკვნით და განმეორებით გამოცდებზე დაშვებას და საბოლოო შეფასების გამოყვანას. შეფასების უწყისი ასახავს თითოეული სტუდენტის ყველა შეფასებას, რომელიც მან დაიმსახურა სემესტრის განმავლობაში.

სასწავლო პროცესის მართვის ელეტრონული სისტემით სარგებლობისასთვის, თითოეულ სტუდენტს გააჩნია საკუთარი ანგარიში, რომელიც აძლევს მას უნივერსიტეტში არსებულ ყველა სერვისზე წვდომის საშუალებას (საკონტაქტო ინფორმაცია, სასწავლო კურსები და სილაბუსები, სასწავლო პროგრამა, ელ. საქმისწარმოება, ბიბლიოთეკა და ფინანსური მოდული). ყველა თანამშრომელი და სტუდენტი უზრუნველყოფილია კორპორატიული ელ.ფოსტის მისამართითა და ანგარიშით. სისტემის უსაფრთხოება უზრუნველყოფს უნებართვო დაშვების ან მონაცემთა დაკარგვის პრევენციას.

სტუდენტს ელექტრონულ პორტალზე შეუძლია ნახოს გამოცდების შეფასებები. ყველა სახის გამოცდა (წერითი, ტესტი, დავალება და სხვ.) ტარდება ელექტრონულად. სტუდენტებს შეუძლიად გამოცდისათვის დარეგისტრირება „საგამოცდო კვირის“ განმავლობაში ნებისმიერ, მათთვის მოსახერხებელ დროს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საბოლოო გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობას იგივე პროცედურების გამოყენებით რეგიონულ ცენტრებში.

უნივერსიტეტში საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა ხორციელდება სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის საშუალებით. ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ამ სისტემაში ხდება რესურსების კატალოგიზაცია და ცირკულაცია. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ელექტრონულ კატალოგში მოიძიოს, ბიბლიოთკაში არსებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ამავე სივრცეში დაეკონტაქტოს ბიბლიოთეკარს და მიიღოს პასუხი სასურველ ინფორმაციაზე.

უნივერსიტეტში ვებ-სერვისებზე წვდომა უზრუნველყოფილია ყველა სტუდენტისა და თანამშრომლისათვის. დადგენილია თითოეული მომხმარებლის წვდომის უფლება კონკრეტულ ვებსერვისსა თუ მოდულზე. ვებსაიტიდან სტუდენტებს შეუძლიათ წვდომა მათ საკუთარ სტუდენტის პორტალზე. აქვე არსებობს ჩანართი უცხოელი აპლიკანტებისათვის. ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია სეუ-ს მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ამ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების პროცედურები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები და სხვა. ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა reg.seu.edu.ge; emis.seu.edu.ge ა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) შემუშავებული აქვს ფინანსურ მართვის და ბიუჯეტირების პროცესის მექანიზმი. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს ბიუჯეტის დაგეგმვას, რომელიც მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან შემდეგი წლის აგვისტომდე. პროცესი იწყება ივნისიდან და მასში ჩართულია ფინანსური მართვისა და აღრიცხვის სამსახური, რექტორი, დეკანები, პროგრამების ხელმძღვანელები და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

ბიუჯეტის დაგეგმვა მოიცავს წინა პერიოდების შემოსავლების ანალიზს, ფაქტორების შეფასებას და ახალი აკადემიური წლის ჩარიცხვის პროგნოზებს. შედეგად მზადდება ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც აგვისტოს ბოლოს ამტკიცებს რექტორი.

უნივერსიტეტის ძირითადი შემოსავლის წყაროა სწავლის საფასური. 2022-2023 წლებში მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 44,254 ათას ლარს, რომლის 92% მოდიოდა სწავლის საფასურზე. სხვა შემოსავლები მოიცავს გრანტებს, ტრენინგებიდან და ქირიდან მიღებულ თანხებს. შემოსავლები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდის გამო.

უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურასა და განათლების განვითარებაში. დასრულების პროცესშია 1000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი, ხოლო 2024-2027 წლებში იგეგმება ახალი კამპუსის მშენებლობა ბაგებში. ასევე ხდება ინვესტიციები აკადემიური პროგრამების გაუმჯობესებაში, საერთაშორისო თანამშრომლობაში და განათლების ტექნოლოგიებში.

ფინანსური კონტროლის მექანიზმები მოიცავს საფინანსო კომიტეტის მუშაობას და რეგულარულ მონიტორინგს. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს კვლევებისა და საბიბლიოთეკო რესურსების დაფინანსებას, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. ფინანსური მენეჯმენტი ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს, ხოლო ანგარიშები ყოველწლიურად ექვემდებარება გარე აუდიტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეის ბიუჯეტი
- გასაუბრების შედეგი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ფინანსები	ქართული	ფინანსების ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1623133 17/12/2024
2	მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტის ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1446361 11/11/2024
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1445505 11/11/2024
4	ტურიზმი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№1383644 17/12/2021
5	მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№44 20/03/2020
6	ფინანსები	ქართული	ფინანსების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№43 20/03/2020
7	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ქართული	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№461043 27/04/2023
8	ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიები	ქართული	მენეჯმენტის ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1623283 17/12/2024

9	**მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი**	ქართული	კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№461033, 27/04/2023
10	**ბიზნესის ადმინისტრირება**	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1445557 11/11/2024
11	**გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი**	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1445621 11/11/2024
12	**ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიები**	ინგლისური	მენეჯმენტის ბაკალავრი	180	აკრედიტებული	№1623287 17/12/2024
13	**ფსიქოლოგია**	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№39 19/03/2020
14	**საერთაშორისო ურთიერთობები**	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№27 28/06/2016
15	**ჟურნალისტიკა**	ქართული	ჟურნალისტიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№47 24/03/2020
16	**სამართალი**	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№20 24/06/2016
17	**საექთნო საქმე**	ინგლისური	საექთნო საქმის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№1674103, 31/12/2024
18	**მედიცინა**	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	№12 20/03/2017
19	**ბიზნესის ადმინისტრირება**	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1446177, 11/11/2024
20	**ადამიანური რესურსების მართვა**	ქართული	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1623291, 17/12/2024
21	**განათლების ადმინისტრირება**	ქართული	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№22 24/06/2016
22	**მონაცემთა მეცნიერება**	ქართული	კომპიუტერული	120	აკრედიტებული	№461046 27/04/2023

			მეცნიერების მაგისტრი			
23	**საბანკო საქმე**	ქართული	საბანკო საქმის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1018947 27/08/2024
24	**ფინანსური ტექნოლოგიები**	ქართული	ფინანსების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1018942 27/08/2024
25	**ფინანსური ტექნოლოგიები**	ინგლისური	ფინანსების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1018945 27/08/2024
26	**ბიზნეს ანალიტიკა**	ქართული	ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1018937 27/08/2024
27	**ბიზნეს ანალიტიკა**	ინგლისური	ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1018940 27/08/2024
28	**ბიზნესის ადმინისტრირება**	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№1446115 11/11/2024
29	**აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)**	ქართული	აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	60	აკრედიტებული	№1446270 11/11/2024
30	**აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)**	ინგლისური	აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	60	აკრედიტებული	№1446307 11/11/2024
31	**კლინიკური ფსიქოლოგია**	ქართული	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№268150 22/03/2021
32	**სოციალური ფსიქოლოგია**	ქართული	სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№84 10/08/2016
33	**სამართალი**	ქართული	სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№21 24/06/2016
34	**დიპლომირებული სტომატოლოგი**	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	№686422 13/06/2023
35	**ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში**	ქართული	ინფორმაციული სისტემების ბაკალავრი	240	არააკრედიტებული	№620652, 23/06/2021